აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 38

6 სექტემბერი 2012 წელი ქ. ბათუმი

უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

პოლიტიკური გაერთიანების „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო“ პარტიული სიით წარდგენილ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი ჯიბლაძე თენგიზ (პარტიული სიის რიგით №15) 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის არ წარმოადგენს პასიური საარჩევნო უფლების მქონე პირს. უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატს ლასურიძე ნინო (პარტიული სიის რიგით №26) სააღრიცხვო ბარათში მითითებული არა აქვს ხელმოწერის თარიღი, რის გამოც აღნიშნულ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებს უარი უნდა ეთქვათ საარჩევნო რეგისტრაციაში გატარებაზე.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, 41-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტის, მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვადგენ**:

1. უარი ეთქვას რეგისტრაციაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებისათვის, პოლიტიკური გაერთიანების „კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო“-ს პარტიული სიით წარდგენილ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატებს (პარტიული სიის რიგით №15) ჯიბლაძე თენგიზ და (პარტიული სიის რიგით №26) ლასურიძე ნინო.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე